

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს **შესძინოს:**

- ფართო ცოდნა ბიზნესის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, მიმართულებების შესახებ.
- საბაზისო ცოდნა ბიზნესის შესაბამის მიმართულებებში - ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, პროექტის მართვა.

ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს **გამოუმუშავოს:**

- ბიზნეს სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
- ბიზნესის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ბიზნესის სფეროში პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- პროფესიული ეთიკისა და ბიზნეს ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია **აღზარდოს:**

- მეწარმე მოქალაქე, რომელსაც შეეძლება საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, დაინტერესებული მხარეების ჩართვა, გადაჭრის გზების მოძიება და ალტერნატივების განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღება, მისი განხორციელება და შედეგამდე მიტანა.

პროგრამის მიზნებს საფუძვლად უდევს კომუნიკაცია საქართველოში მოქმედი ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებთან და ამ კომუნიკაციის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები, შრომის ბაზრის ტენდენციების ანალიზი, კონკურენტი პროგრამებისა და ეროვნული გამოცდების შედეგების ანალიზი, პროგრამაში ჩართული ლექტორ-მასწავლებლების რეკომენდაციები, წინა წლების სასწავლო პროცესის ანალიზი, სტუდენტების მხრიდან მიღებული შეფასებები და რეკომენდაციები.

დასახული მიზნების განხორციელებას ემსახურება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის წინამდებარე სასწავლო გეგმა, რომელიც აგებულია აგებულია კლასიკური თეორიული საგნების და პრაქტიკის სინთეზზე. პრაქტიკული კურსი საშუალებას აძლევს ჩვენს სტუდენტებს სწავლების პირველი დღიდან ჩაერთონ ბიზნესის რეალურ სამყაროში, ხოლო კურსდამთავრებულებს გააჩნდეთ როგორც აუცილებელი თეორიული საფუძვლები, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური კადრისთვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ბიზნესში წარმატების მიღწევა შესაძლებელია ნებისმიერი საბაზისო ცოდნის მქონე, ბიზნესის წარმართვისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით დაჯილდოებული ადამიანისთვის, ხოლო ეროვნული გამოცდები არ იძლევა იმის საშუალებას რომ ბიზნესის წარმართვისთვის საჭირო უნარ-ჩვევები შეფასდეს, ამიტომ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობა ეძლევა იმ აბიტურიენტებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ეროვნულ გამოცდებზე დაშვებულ ნებისმიერ არჩევით და სავალდებულო საგნებს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

ბაკალავრი ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს კომპლექსურ ცოდნას; იგი იცნობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ძირითად საკითხებს, აკავშირებს თეორიებსა და პრინციპებს და აქვს უნარი მათი კრიტიკული გააზრებისა. განსაზღვრავს დარგის სტრუქტურას, სისტემებსა და ინსტიტუტებს.

ბაკალავრი იცნობს ბიზნესის მართვის საფუძვლებს, მის ძირითად პრინციპებსა და თეორიებს. ბაკალავრს აქვს წარმოდგენა საერთაშორისო ბიზნესის მახასიათებლების შესახებ და გაცნობილია ოპერაციათა მენეჯმენტის ძირითად ასპექტებს. ბაკალავრი იცნობს მართვის ძირითად მოდელებს და გააზრებული აქვს მათი გამოყენების თავისებურებები სხვადასხვა გარემოში. ბაკალავრი ერკვევა მიკრო და მაკროეკონომიკურ პროცესებში და გააზრებული აქვს ეკონომიკის და ბიზნესის ურთიერთკავშირი; მას შესწავლილი აქვს ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრების მუშაობის ძირითადი პრინციპები. ბაკალავრი ერკვევა საგადასახადო პოლიტიკაში და აფასებს საფინანსო პოლიტიკის გავლენას ბიზნესზე. ბაკალავრი იცნობს ინვესტიციების თეორიებსა და ძირითად ცნებებს, საფინანსო სისტემებს და მათი ფუნქციონირების თავისებურებებს. ბაკალავრი ფლობს ტექნიკურ ცოდნას ისეთ სფეროებში, როგორცაა ალბათობა, სტატისტიკა და ფინანსური აღრიცხვა და ესმის მათი გამოყენების საჭიროება. ბაკალავრს სიღრმისეულად აქვს შესწავლილი მარკეტინგის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, მეთოდები და მათი გამოყენების საშუალებები. ბაკალავრი იცნობს მარკეტინგული კვლევის მეთოდოლოგიას. ბაკალავრი ფლობს ბიზნეს პროექტის შექმნისა და განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკურ ცოდნას. ბაკალავრი იცნობს ბიზნეს ეთიკის ძირითად პრინციპებს. ბაკალავრი გაცნობილია სამართლის საფუძვლებს და ესმის ბიზნეს სამართლის ძირითადი ასპექტები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ბაკალავრი შეძლებს მის პრაქტიკაში გამოყენებასა და დანერგვას. სასწავლო პროცესით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები, მათ შორის რეალურ ბიზნეს პროექტებზე მუშაობა და სავალდებულო სასწავლო პრაქტიკა ბაკალავრს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს უძლიერებს. ბაკალავრს შესწევს უნარი, შეაგროვოს პრაქტიკული კვლევითი თუ ბიზნეს პროექტის დასამუშავებლად საჭირო მონაცემები. მოახდინოს ანალიზი სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენებით ალბათობა/სტატისტიკის კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნის საფუძველზე, ასევე მოახდინოს მიღებული შედეგების განყენებული ინტერპრეტირება მარკეტინგული კვლევის კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე.

ბაკალავრს აქვს უნარი გამოიყენოს მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულ ვითარებაში სწავლების განმავლობაში გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების განხორციელების საფუძველზე. ბაკალავრი ითვისებს ისეთ გამოყენებით უნარებს, როგორებიცაა მმართველობითი დილემის ამოცნობა და შესაბამისი გადაჭრის გზის შემუშავება, მარკეტინგული გეგმის შემუშავება, ბიზნესის ფინანსური გეგმის შემუშავება, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გამოყენება ანალიზისა და დაგეგმვისათვის.

ბაკალავრი სასწავლო პროცესში ეცნობა ეკონომიკის პრინციპებს, რაც მას აძლევს საშუალებას გააკეთოს რეალობაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ადეკვატური შეფასება. ბაკალავრს აქვს ბიზნესის სფეროში წამოჭრილი პრობლემების დანახვისა და შეფასების, ასევე მათი ადეკვატური გადაჭრის გზების შემუშავების უნარი.

სასწავლო პრაქტიკა სწავლების ბოლოს აძლევს ბაკალავრს საშუალებას, რეალურ ორგანიზაციულ კონტექსტში, პრაქტიკულად გამოიყენოს მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარები.

დასკვნის უნარი:

ბაკალავრს შესწევს უნარი, შეაგროვოს და დაამუშავოს ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი ინფორმაცია, მოახდინოს მისი სინთეზი და გააკეთოს დასაბუთებული დასკვნები; ბაკალავრს შეუძლია სტანდარტული ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

ბაკალავრს შესწევს უნარი ამოიცნოს პრობლემა, გააკეთოს სიტუაციის ანალიზი და შეიმუშავოს ადეკვატური დასკვნები როგორც სფეროსათვის დამახასიათებელი, ასევე ახლებური მიდგომების გამოყენებით.

ბაკალავრს აქვს ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში არსებული პრობლემების შეცნობისა და მათი ანალიზის უნარი. ბაკალავრს შეუძლია, განსაზღვროს, რა ტიპის ინფორმაციის შეგროვებაა საჭირო მოცემული პრობლემის ანალიზისათვის, იქნება ეს ფინანსური, მარკეტინგული, მმართველობითი თუ სტრატეგიული პრობლემა. ბაკალავრს შესწევს უნარი, შეაგროვოს ამგვარი ინფორმაცია და მისი სინთეზის საფუძველზე გააკეთოს დასკვნები პრობლემის გადაჭრის ფინანსური, მარკეტინგული, მმართველობითი თუ სტრატეგიული ხერხების შესახებ. ბაკალავრს ასევე შეუძლია, დიდი რაოდენობის ინფორმაციის ფონზე შეაფასოს, რა ტიპის ინფორმაციაა ძირითადი, და მისი ანალიზის საფუძველზე შეიმუშავოს დასკვნები. სწავლის პროცესით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები აჩვენებს ბაკალავრს, გაიაზროს მიღებული ფინანსური, აღწერილობითი და ანალიტიკური ინფორმაცია და შეიმუშავოს დასაბუთებული არგუმენტაცია. ბაკალავრი სწავლობს, როგორ მოახდინოს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის, მოვლენების შეფასება და მათ შორის კავშირის დანახვა, ასევე ინფორმაციის არარსებობის პირობებში პრობლემის ფორმულირება და ადეკვატური დასკვნების გამოტანისათვის საჭირო სამუშაოების დაგეგმვა.

კომუნიკაციის უნარი:

იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

ბაკალავრი ითვისებს მშობლიურ ენაზე აკადემიური და ტექნიკური ნაშრომების შექმნის, კვლევითი და ბიზნეს პროექტების ზეპირი და ნაწილობრივ წერილობითი ფორმით წარმოდგენის ტექნიკას. უცხო ენის შესწავლა საშუალებას აძლევს ბაკალავრს, გაეცნოს ლიტერატურას სხვა ენებზეც და გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია კომუნიკაციისას. ბაკალავრს აქვს უნარი ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი ინფორმაცია, შემდეგ კი მასზე დაყრდნობით მონაწილეობა მიიღოს ბიზნეს გეგმის, მარკეტინგული გეგმის, ფინანსური ანგარიშგების, სტრატეგიული გეგმის დამუშავებაში. ბაკალავრს აქვს უნარი წარუდგინოს საკუთარი ნაშრომი საზოგადოებას ზეპირი პრეზენტაციის სახით და გაამყაროს საკუთარი მოსაზრებები დასაბუთებული არგუმენტებით. ბაკალავრი ითვისებს მისთვის უცხო გარემოში სწორი კომუნიკაციის, დროული ადაპტაციისა და ადეკვატური რეაგირების მეთოდებს. ასევე, ბაკალავრი ეჩვევა გუნდში მუშაობისას ნაყოფიერი კომუნიკაციის დამყარებას, მოცემულ საკითხზე დისკუსიაში ჩართვას და კრიტიკული შენიშვნების ჩამოყალიბებას.

სწავლის უნარი:

სწავლების პროცესში გამომუშავებული უნარები საშუალებას აძლევს ბაკალავრს, შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი, დაინახოს არსებული სიმნელები თუ გამოწვევები და გააცნობიეროს მისი თავისებურებები. სწავლის პროცესის დროს გამოყენებული მეთოდიკა უვითარებს სტუდენტს უნარს, დაინახოს საკუთარი სწავლის პროცესი პერსპექტივაში, მოახდინოს შემდგომი საჭიროებების დადგენა და მომავალი სწავლის პროცესის დაგეგმვა.

სწავლების პერიოდში ბაკალავრს უწევს საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება, რაც ეხმარება იმაში, რომ დაინახოს საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, გააცნობიეროს სწავლის ამა თუ იმ ასპექტის თავისებურებები და უკეთ დაგეგმოს სწავლის პროცესი. ბაკალავრს აქვს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ზრდისკენ სწრაფვა. ბაკალავრს შეუძლია დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნა ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე დაყრდნობით; აქვს ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიახლეების და უახლესი მეცნიერული მიღწევებისათვის თვალის მიდევნების და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს შესწევს უნარი, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე და გააგრძელოს ცოდნის გაღრმავება.

ღირებულებები:

სწავლის პროცესში ბაკალავრი მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში. ბაკალავრი ეცნობა ღირებულებებს, რომლებიც ეფუძნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ლიბერალურ პრინციპებს; საკუთარი პოზიციისადმი პრინციპულ მიდგომასთან ერთად სხვისი აზრისადმი პატივისცემასა და საღ დამოკიდებულებას.

ბაკალავრი ორიენტირებულია ბიზნესში ეთიკის პრინციპების დაცვაზე, აქვს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და აღჭურვილია სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით. სწავლების პროცესში ბაკალავრი ჩაბმულია პროფესიულ სიტუაციებში ეთიკური გადაწყვეტილების მიღებისა და ეთიკური დილემების შესახებ დისკუსიაში. ბაკალავრს ესმის ბიზნეს საქმიანობის წარმოებისას საზოგადოების ცალკეული ჯგუფებისა და მომხმარებლების ინტერესებისა და ღირებულებების პატივისცემის მნიშვნელობა. ბაკალავრი მოტივირებულია, რომ დაიცვას ეთიკის ნორმები, მომავალ თანამშრომლებთან, კონკურენტებთან და მომხმარებლებთან მიმართებაში. საქმიანობისას ბაკალავრი აცნობიერებს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების თავისებურებებს და ბიზნეს გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს. ბაკალავრს ესმის ისეთი ფასეულობების მნიშვნელობა, როგორცაა ადამიანის კეთილდღეობა, სოციალური პასუხისმგებლობა, ეკოლოგია და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად; საჭიროების შემთხვევაში კი მზადაა, მიიღოს მონაწილეობა ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

შედეგებისა და მიზნების რუკა

ზემოთდასახელებული მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა ისახავს ქვემოთჩამოთვლილ 7 შედეგობრივ მაჩვენებლებზე გასვლას:

ფინანსები:

სტუდენტი იყენებს ფინანსური სფეროს ინსტრუმენტებს: იცის ფინანსური ტერმინოლოგია, აღწერს ძირითად ფინანსურ პრინციპებს, ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებებს და აანალიზებს ფინანსურ ანგარიშგებებს, აკეთებს ფინანსურ პროგნოზს, აფასებს სხვადასხვა ალტერნატივას.

მარკეტინგი:

სტუდენტი იყენებს მარკეტინგულ ინსტრუმენტებს: ერკვევა მარკეტინგის ცნებების თეორიებისა და პრინციპებში. აგროვებს და აანალიზებს ბაზრის მონაცემებს, მსჯელობს 8P კონცეფციაზე. ქმნის მარკეტინგული აქტივობის გეგმას და ახორციელებს მას, იყენებს ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციის მიდგომებს პროექტებში, ქმნის ბრენდის პლატფორმას და იყენებს მას.

მენეჯმენტი:

სტუდენტი იყენებს მენეჯმენტის ინსტრუმენტებს: ერკვევა ბიზნესის ორგანიზაციის რესურსების ეფექტური გამოყენების პრინციპებში, აღწერს და აფასებს ბიზნეს გარემოს, მსჯელობს ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ, აგებს ორგანიზაციულ სტრუქტურას, აანალიზებს ბიზნეს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებს, აანალიზებს ბიზნესის სუსტ და ძლიერ მხარეებს. გეგმავს ორგანიზაციის განვითარების ეტაპებს.

პროექტის მართვა:

ბიზნესის ეთიკა		✓	✓	✓					✓	
----------------	--	---	---	---	--	--	--	--	---	--

სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება
- სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, ბაზრის კვლევა, ქეისების

გარჩევა, დებატები და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპეტენციის მინიმალური ზღვარი შეიძლება მერყეობდეს 20-50 პროცენტის ფარგლებში და აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4

B = 3, 2

C = 2, 4

D = 1, 6

E = 0, 8

დასაქმების სფერო:

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ და წარმატებით იმუშავენ როგორც კერძო, ასევე საჯარო თუ საზოგადოებრივ სექტორში შემდეგი მიმართულებები მენეჯმენტი, ფინანსები, ბიზნეს ანალიზი, პროექტის მენეჯმენტი, მარკეტინგო. გარდა ამისა, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია უფრო მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულები უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მარტივად ადაპტირდნენ თანამედროვე დასაქმების ბაზარზე:

- პირველი კურსის გავლის შედეგად შეძენილი ცოდნის საფუძველზე სტუდენტს უნდა ჰქონდეს უნარი შეასრულოს მენეჯერის თანაშემწის პოზიციაზე არსებული შრომითი მოთხოვნები;
- მეორე წლის შემდეგ სტუდენტს უნდა ჰქონდეს უნარი დააკმაყოფილოს ანალიტიკოსის პოზიციაზე არსებული მოთხოვნები;
- მესამე წლის შემდეგ სტუდენტს უნდა ჰქონდეს უნარი იმუშაოს პროექტის მენეჯერად;
- სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს დაბალი და საშუალო რგოლის მენეჯერად მუშაობა;

გარდა ამისა, სწავლის პერიოდში ან დამთავრებისთანავე სტუდენტს უნდა ჰქონდეს უნარი დაიწყოს საკუთარი ბიზნესი.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

ბიზნესის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:

გიორგი თურქია

იეთიმ გურჯის ქუჩა #7
თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: (995 32) 249 75 00
მობ: 599 93 11 77
e-Mail: g.turkia@gipa.ge

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და აღწერილობა:

სასწავლო პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევით საგნების ერთობლიობისგან. სავალდებულო საგნები თავის მხრივ იყოფა სავალდებულო ზოგად საგნებად და სპეციალობის საგნებად. სავალდებულო სპეციალობის საგნები ავითარებენ სტუდენტის ცოდნას შემდეგი ძირითადი მიმართულებით: ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი და ფინანსები. სავალდებულო საგნების გარდა პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არჩევით სპეციალობის საგნებს და უცხო ენებს.

პროგრამაზე ისწავლება შემდეგი უცხო ენები: ინგლისური, ფრანგული და ესპანური.

ინგლისური ენა არის სავალდებულო საგანი (საწყისი დონიდან B2 დონის ჩათვლით). ინგლისურ ენის B1 და B2 დონეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე აქვს პრერეკვიზიტის სტატუსი მთელი რიგი საგნებისთვის (მითითებულია კურსის აღწერაში ქვემოთ), ხოლო B2 დონის დამადასტურებელი ერთ-ერთი პირობა (ქვემოთ მითითებულია ცხრილში) აუცილებელია საბოლოოდ დიპლომზე დაშვებისთვის.

სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის შესაბამისი დონის კურსიდან და ეძლევა დაშვება იმ საგნებზე, რომელთა პრერეკვიზიტსაც წარმოადგენს ინგლისური ენის B1 და B2 დონის ფლობა თუ იგი დასტურდება Placement ტესტით, წარმატებით გავლილი ინგლისურის სალექციო კურსით, ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ერთ-ერთი საერთაშორისო სერთიფიკატით B1 და B2 დონისთვის.

სტუდენტის ცოდნა ინგლისურ ენაში უნდა შეესაბამება B1 დონეს.	სტუდენტის ცოდნა ინგლისურ ენაში უნდა შეესაბამება B2 დონეს.
ან დგინდება Placement ტესტით	ან დგინდება Placement ტესტით
ან გავლილი აქვს BBAEN10205 კურსი (ინგლისური ენა B1)	ან გავლილი აქვს BBAEN10405 კურსი (ინგლისური ენა B2)
ან გააჩნია ერთ-ერთი სერტიფიკატი: Cambridge English Preliminary (PET) BEC Preli IELTS 4-4.5 TOEFL iBT 57-86 TOEIC Listening & Reading 550 TOEIC Speaking & Writing 240 PTE General Level 2 PTE Academic 43-58 Trinity ISE I	ან გააჩნია ერთ-ერთი სერტიფიკატი: IELTS 5-6.5 point TOEFL iBT 87-109 TOEIC listening&dreading 785 TOEIC speaking&Writing 310 Michigan ECCE PTE General level-3

ინგლისური ენის შემთხვევაში სასწავლო გეგმა გაწერილია ისე, რომ სტუდენტს, რომელიც ინგლისური ენის ნულოვანი ცოდნით მოდის სასწავლებელში, საშუალება ეძლევა რეკომენდირებული სასწავლო გეგმის შესაბამისად 4 სემესტრის განმავლობაში დაძლიოს როგორც b1, ასევე, b2 დონე. ინგლისური ენის სწავლება გათვალისწინებულია მეხუთე სემესტრშიც (არჩევითი საგანი - ინგლისური FCE), რომლის მიზანია სტუდენტის მომზადება FCE სასერთიფიკატო გამოცდისთვის.

საწყისი დონიდან ინგლისური ენის შესწავლა იწყება A1 დონით. A1 და A2 დონეზე სწავლება არის ინტენსიური პირველი სემესტრის განმავლობაში. სამი კვირის მანძილზე ტარდება 30 საათიანი A1 დონის კურსი (ყოველდღე, 2 საათიანი შეხვედრები), რომლის წარმატების დაძლევის შემდეგ სტუდენტები იწყებენ A2 დონეს იმავე სემესტრში. A2 დონის ინგლისური ენის შესწავლას აქვს ასევე ინტენსიური ხასიათი (კვირაში 6 საათი, სულ 96 საკონტაქტო საათი სემესტრში). A2 დონის წარმატებით დაძლევის შემდეგ, სტუდენტების მეორე სემესტრში შეისწავლიან B1 დონეს, რაც წარმოადგენს წინაპირობას ისეთი საგნებისთვის, როგორცაა მარკეტინგი, მენეჯმენტი და სხვ. მესამე და მეოთხე სემესტრში სტუდენტები გაივლიან შესაბამისად B1+ და B2 დონეს (64 საათი თითოეულ სემესტრში), რომლის წარმატებით დაძლევა წარმოადგენს დიპლომზე დაშვების წინაპირობას. მეხუთე სემესტრში სტუდენტებს არჩევანი ეძლევათ მოემზადონ FCE ტესტისთვის, რომლის საფუძველზეც გაიცემა კემბრიჯის ერთ-ერთი პოპულარული სერტიფიკატი, რომელიც ამტკიცებს რომ მისმა მფლობელმა ინგლისური ენა იცის იმ დონეზე რომ შეუძლია იცხოვროს და იმუშაოს დამოუკიდებლად ინგლისურენოვან ქვეყნაში ან შეისწავლოს ინგლისურად ნებისმიერი საგანი.

ქვემოთ მოცემულია ინგლისური ენის შესწავლის გრაფიკი ენის ცოდნის სხვადასხვა დონისთვის.

ყოველი წლის დასაწყისში	Placement ტესტის შედეგად დადგენილი ენის დონე						
	0 დონე	A1	A2	B1	B1+	B2	FCE

I სემესტრი	A1+A2	A2	B1	B1+	B2	FCE	
II სემესტრი	B1	B1	B1+	B2	FCE		
III სემესტრი	B1+	B1+	B2	FCE			
IV სემესტრი	B2	B2	FCE				
V სემესტრი	FCE	FCE					

ფრანგული და ესპანური ენის კურსები არის არჩევითი და მათი შესწავლა იწყება საწყისი დონიდან. ამ ენებზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონე.

პროგრამაზე არჩევით საგნებად ასე დაშვებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სხვა საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმაში არსებული საგნები.

პროგრამა მოიცავს სასწავლო პრაქტიკას, რომლის ხელშეწყობაც ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტებისთვის ხორციელდება და აძლევს მათ საშუალებას სწავლისას მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ. სასწავლო პრაქტიკა სავალდებულოა. ყოველი სტუდენტისთვის სავალდებულოა ფინანსურ პროექტზე/ბიზნესის გეგმაზე მუშაობა და მისი დაცვა, რაც ბაკალავრს აძლევს კვლევის სათანადო დონეზე ჩატარების, ანალიზის განხორციელების, დასკვნების გაკეთების და კომუნიკაციის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
			სავალდებულო ზოგადი საგნები	16	19	5	0	12	0	0	0		
1.	BBAIT10103	არ გააჩნია	ინფორმაციის დამუშავების ტექნიკა და კომპიუტერული უნარ-ჩვევები	3/75								32	43
2.	BBAMP10102	არ გააჩნია	თვითმენეჯმენტისა და პრეზენტაციის უნარების განვითარება	2/50								30	20
3.	BBAMS10103	არ გააჩნია	მათემატიკური უნარები	3/75								37	38
4.	BBAWC10104	არ გააჩნია	მსოფლიო ცივილიზაციები 1	4/100								48	52
5.	BBAEC10104	არ გააჩნია	ეკონომიკა 1	4/100								32	68
6.	BBASM10202	არ გააჩნია	თვითმენეჯმენტი: წერიითი საქმიანი კომუნიკაცია და კარიერული უნარჩვევები		2/50							24	26
7.	BBAWC10204	არ გააჩნია	მსოფლიო ცივილიზაციები 2		4/100							48	52
8.	BBADA10203	BBAIT10103	მონაცემების ანალიზი და ბიზნესის მოდელირება		4/100							32	68
9.	BBAEC10204	BBAEC10104	ეკონომიკა 2		4/100							32	68
10.	BBAQA10205	BBAMS10103	რაოდენობრივი ანალიზი 1		5/125							53	72
11.	BBAQA10305	BBAMS10103	რაოდენობრივი ანალიზი 2			5/125						53	72
12.	BBASO10504	არ გააჩნია	სოციოლოგია					4/100				32	68
13.	BBAPH10504	არ გააჩნია	ფილოსოფია					4/100				32	68

¹ კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

² სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

³ საკონტაქტო საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

⁴ დამოუკიდებელი საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

14.	BBAPS10504	არ გააჩნია	ფსიქოლოგია					4/100				32	68
			ინგლისური ენის კომპონენტი	12	5	5	5	0	0	0	0		
15.	BBAEN10104	არ გააჩნია	ინგლისური ენა A1 (სავალდებულო)	4/100								30	70
16.	BBAEN10108	BBAEN10104	ინგლისური ენა A2 (სავალდებულო)	8/200								96	104
